

# პირადობისა და პასპორტის

## ასაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

### პირველად პირადობის მოწმობის აღებისათვის საჭირო დოკუმენტები:

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში);
- დაბადების მოწმობა (დედანი და ასლი);
- ბინის მესაკუთრის თანხმობის შევსებული ფორმა: (16 წლამდე ასაკის პირები, აგრეთვე მეურვეობის და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები თუ რეგისტრაციას გაივლიან მშობლებთან, მეურვესთან, მზრუნველთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ერთად, ასეთ შემთხვევაში მათი რეგისტრაციისათვის საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა საჭირო არ არის. 16 წლამდე ასაკის პირის სხვა მისამართზე რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ ზემოხსენებულ პირთაგან ერთ-ერთის წერილობითი თანხმობით).
- ორი ფერადი ფოტოსურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);
- **შენიშვნა:** თუ პირი პირველად იღებს პირადობის (ბინადრობის) მოწმობას და არ გააჩნია მანამდე გაცემული სხვა ფოტოსურათიანი საბუთი ან ვერ დგინდება პირის იდენტურობა განცხადება-ანკეტაზე არსებულ სურათთან ხანდაზმულობის ან სხვა მიზეზის გამო, პირადობის (ბინადრობის) მოწმობაში ჩასაკრავად განკუთვნილ ფოტოსურათზე გამოსახული პირის იდენტურობა წარდგინდეს ფოტოსურათთან, წერილობით შეიძლება დაადასტუროს ნებისმიერმა სრულწლოვანმა პირმა. საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, რწმუნებული, უბნის ინსპექტორი, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამხედრო ნაწილის მეთაური და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა დადასტურებს ამოწმებენ შეთუ წარდგენილი დოკუმენტები არ ადასტურებს პირის **საქართველოს მოქალაქეობას** პირი აგრეთვე წარადგენს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთს ან საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელ საბუთს.
- პირს, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი **მისამართის მითითების გარეშე** რეგისტრაციას გაივლის იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იმყოფება. იგი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ გამოცხადდეს იმ ტერიტორიულ სამსახურში, სადაც არის რეგისტრირებული.

### ვადაგასული პირადობის მოწმობის შესაცვლელად წარმოადგინეთ:

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში);
- შესაცვლელი პირადობის მოწმობა;
- ორი ფერადი ფოტოსურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);

### შენიშვნა:

### საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტის შესაცვლელად წარმოადგინეთ:

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში);
- სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);
- თუ წარდგენილი დოკუმენტები არ ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას პირი აგრეთვე წარადგენს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთს ან საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელ საბუთს.

### შენიშვნა:

**მოქალაქე ვალდებულია შეცვალოს პირადობის მოწმობა:**

- საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას;
- მოწმობის მოქმედების ვადის გასვლისას;
- სახელის ან გვარის შეცვლისას;
- ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;
- ხმარებისათვის უვარგისობისას;
- დაკარგვისას.

**შენიშვნა:**

1. თუ თქვენ იცვლით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგინეთ:

- საცხოვრისის მესაკუთრემ - საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის დედანი ასლთან ერთად;
- სხვა პირებმა - საცხოვრისის მესაკუთრის მიერ შევსებული თანხმობის წერილის დადგენილი ფორმა.

2. თუ თქვენ იცვლით სახელს ან გვარს, დამატებით წარმოადგინეთ, ამ გარემოების დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი;

3. ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას დამატებით წარმოადგინეთ ჩანაწერში არსებული უზუსტობის დამადასტურებელი საბუთი;

**დაკარგული პირადობის მოწმობის ნაცვლად ახალი მოწმობის ასაღებად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში);
- დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- 2 ფერადი ფოტო-სურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);
- ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ნებისმიერი ბანკიდან. ჯარიმა შეადგენს 3 ლარს

**პირადობის მოწმობის გაცემის ვადები და მომსახურების საფასურები:**

- 1. განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს პირადობის მოწმობა გაიცემა უფასოდ.
- 2. განაცხადის შეტანიდან პირადობის მოწმობის მე-5 სამუშაო დღეს გასაცემად მომსახურების საფასური შეადგენს - 5 ლარს;
- 3. განაცხადის შეტანიდან პირადობის მოწმობის მე-3 სამუშაო დღეს გასაცემად მომსახურების საფასური შეადგენს - 10 ლარს;
- 4. განაცხადის შეტანიდან პირადობის მოწმობის 24 საათის გასვლისთანავე გასაცემად მომსახურების საფასური შეადგენს - 25 ლარს;
- 5. განაცხადის შეტანიდან პირადობის მოწმობის იმავე დღეს გასაცემად მომსახურების საფასური შეადგენს - 50 ლარს.

**შენიშვნა:**

მომსახურების საფასურის გადახდა ხდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში განთავსებულ სწრაფის გადახდის პუნქტებში.

1. თუ თქვენ იცვლით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგინეთ:

- **საცხოვრისის მესაკუთრემ** - საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის დედანი ასლთან ერთად;
  - **სხვა პირებმა** - საცხოვრისის მესაკუთრის მიერ შევსებული თანხმობის წერილის დადგენილი ფორმა.
2. ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას დამატებით წარმოადგინეთ ჩანაწერში არსებული უზუსტობის დამადასტურებელი საბუთი.

**საქართველოს მოქალაქის პასპორტი**

საქართველოს მოქალაქის პასპორტი არის საქართველოს მოქალაქის პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. პასპორტი საქართველოს კუთვნილებაა და გაიცემა ნებისმიერი ასაკის საქართველოს მოქალაქეებზე მათი საქართველოდან გასვლის, საზღვარგარეთ გადაადგილების და საქართველოში შემოსვლის მიზნით. პასპორტის შენახვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მის კანონიერ მფლობელს. პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს სრულწლოვან და ქმედითუნარიან საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე არასრულწლოვანის წარმომადგენელს. ერთი და იგივე პირი შეიძლება ერთდროულად ფლობდეს რამდენიმე მოქმედ პასპორტს. იმ შემთხვევაში, თუ პირზე გაცემულია პასპორტი, იმავდროულად ახალი პასპორტი გაიცემა მისი წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით მისი გაცემის დღიდან, ხოლო არასრულწლოვან პირზე გაცემული პასპორტის მოქმედების ვადაა 3 წელი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად (შესაცვლელად) საქართველოს ტერიტორიაზე პირი პირადად მიმართავს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს [ნებისმიერ ტერიტორიულ](#) სამსახურს, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქეებზე პასპორტისგაცემა ხდება ონლაინ სერვისის საშუალებით ან საქართველოში წარმომადგენლის მეშვეობით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახური პასპორტს გასცემს დაინტერესებული პირის მიერ კანონით დადგენილი ყველა დოკუმენტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება - 1 თვის ვადაში. პასპორტის მიღებისას პირადად გამოცხადება სავალდებულოა მხოლოდ პასპორტზე ხელისმოწერისას.

პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, ვალდებულია, ჩააბაროს პასპორტი შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას საზღვარგარეთ.

პასპორტი რომელშიც თვითნებურად არის შეტანილი შესწორებები ან შეიმჩნევა გაყალბება, დაშლა და სხვა, უნდა ჩამოერთვას მფლობელს.

პირები, რომლებიც თვითნებურად შეიტანენ შესწორებებს, გააყალბებენ პასპორტს ან სხვაგვარად დაარღვევენ კანონმდებლობით დადგენილ წესებს, პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**საქართველოს მოქალაქის ბიომეტრული პასპორტის ასაღებად ან შესაცვლელად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში)
  - პირადობის მოწმობა (დედანი);
- ორი ფერადი ბიო-სურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);
- პასპორტზე მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი - 100 ლარი (იხილეთ შეღავათები).
  - პასპორტის შეცვლის შემთხვევაში - ძველი პასპორტი.

**16-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში)
  - დაბადების მოწმობა (დედანი);
  - პირადობის მოწმობა (დედანი);
- ერთ-ერთი მშობლის თანხმობა პასპორტის აღების შესახებ (თანხმობის ფორმა ივსება ტერიტორიულ სამსახურში)(16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანს, თუ იგი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, პასპორტის მისაღებად არ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა);
- ორი ფერადი ბიო-სურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);
  - პასპორტზე მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი

**16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში)
  - დაბადების მოწმობა (დედანი)
- პირადობის (ბინადრობის) მოწმობა (დედანი და ასლი), თუ პირს პასპორტის გაცემამდე შეუსრულდა 14 წლის ასაკი
- ორივე მშობლის თანხმობა პასპორტის აღების შესახებ (თანხმობის ფორმა ივსება ტერიტორიულ სამსახურში);
  - ორივე მშობლის პირადობის მოწმობა (დედანი);
  - მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი - 50 ლარი.
- ორი ფერადი ბიო-სურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);

**საქართველოს მოქალაქის პასპორტი ექვემდებარება შეცვლას:**

- სახელის და გვარის გამოცვლისას;
  - ჩანაწერებში უზუსტობების დადგენისას;
- ვიზებისა და მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის განსაზღვრული ფურცლების გახარჯვისას;
  - ხმარებისათვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება)

**შენიშვნა:**

- სახელის, გვარის გამოცვლისას, აგრეთვე ჩანაწერებში უზუსტობის დადგენისას პასპორტის შეცვლის დროს შუამდგომლობას დამატებით დაერთვის ამ გარემოებათა დამადასტურებელი საბუთები (სახელის და გვარის გამოცვლის მოწმობა, დაბადების, ქორწინების მოწმობა და ა. შ.);
  - ახალი პასპორტის გაცემის დღიდან დაკარგული პასპორტი ძალადაკარგულად ითვლება;

**საქართველოს მოქალაქის პასპორტი;  
მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი;  
ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი**

**საქართველოს მოქალაქის პასპორტის (მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის, ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის) ასაღებად ან შესაცვლელად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში)
  - პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;
- ორი ფერადი ბიომეტრიული -სურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ

სამსახურებში);

- პასპორტის ასაღებად მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი - 100 ლარი (იხილეთ შეღავათები. ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა უფასოდ).
  - პასპორტის შეცვლის შემთხვევაში - ძველი პასპორტი.

**16-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის (მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის, ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის) მისაღებად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში)
  - დაბადების მოწმობა (დედანი);
  - პირადობის (ბინადრობის) მოწმობა (დედანი);
- ერთ-ერთი მშობლის თანხმობა პასპორტის აღების შესახებ (თანხმობის ფორმა ივსება ტერიტორიულ სამსახურში); (16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანს, თუ იგი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, პასპორტის მისაღებად არ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა);
- ორი ფერადი ბიომეტრული-ფოტოსურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);

- მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი

**16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის (მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის, ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის) მისაღებად წარმოადგინეთ:**

- განცხადება-ანკეტა (მიიღებთ ტერიტორიულ სამსახურებში)
  - დაბადების მოწმობა (დედანი)
- პირადობის (ბინადრობის) მოწმობა (დედანი და ასლი), თუ პირს პასპორტის გაცემამდე შეუსრულდა 14 წლის ასაკი
  - ორივე მშობლის თანხმობა პასპორტის აღების შესახებ (თანხმობის ფორმა ივსება ტერიტორიულ სამსახურში);
  - ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა (დედანი);
- ორი ფერადი ბიომეტრული-ფოტოსურათი (ფოტოსურათს გადაიღებთ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში);
- მომსახურების საფასურის გადახდის ქვითარი (იხილეთ შეღავათები. ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა უფასოდ);

**პასპორტის გაცემის ვადები და დაჩქარებული მომსახურების საფასურები:**

- საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაიცემა განცხადების შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს. მომსახურების საფასური შეადგენს - 100 ლარს. პასპორტის მეათე სამუშაო დღეს გასაცემად დაჩქარებული მომსახურების საფასური არ გადაიხდებიან.
- განაცხადის შეტანიდან პასპორტის **მე-5 სამუშაო დღეს** გასაცემად დაჩქარებული მომსახურების საფასური შეადგენს - **20 ლარს;**
- განაცხადის შეტანიდან პასპორტის **მე-3 სამუშაო დღეს** გასაცემად დაჩქარებული მომსახურების საფასური შეადგენს - **50 ლარს;**
- განაცხადის შეტანიდან პასპორტის **24 საათის გასვლისთანავე** გასაცემად დაჩქარებული მომსახურების საფასური შეადგენს - **90 ლარს;**

- განაცხადის შეტანიდან პასპორტის **იმავე დღეს** გასაცემად დაჩქარებული მომსახურების საფასური შეადგენს - **105 ლარს**.

### **შენიშვნა:**

მომსახურების საფასურის გადახდა ხდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში განთავსებულ სწრაფის გადახდის პუნქტებში.

### **შეღავათები**

#### **მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:**

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები – **50 პროცენტით**;
- მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – **50 პროცენტით**;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, თუ მოქალაქეობის მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია;
- 18 წლამდე პირები – **50 პროცენტით**.